სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება	**ფრანგული რომანის პოეტიკა** **Poetic of French Roman**
ავტორი	ნინო ქავთარაძე
ლექტორი	ნინო ქავთარაძე ასისტენტ-პროფესორი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის მიმართულება ტელ.: 2 98 94 64, 2 30 90 21, 8 5 99 79 40 68 ელ-ფოსტა: **ninkavt@hotmail.com** დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ელ.ფოსტით ან წინასწარი შეთანხმებით
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
	რომანული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა
	სავალდებულო
სასწავლო კურსის მიზანები	სასწავლო პროგრამა – ,,ფრანგული რომანის პოეტიკა'', შეისწავლის რომანის პოეტიკის საკითხებს თანამედროვე ფრანგი მწერლების (პრუსტი, კოკტო, ჟიდი, სელინი, დიურასი, მონტერლანი, იურსენალი, გრაკი, ტურნიე, ბიუტორი...) ნაწარმოებების მაგალითზე. სწავლების დროს, ყურადღება მიექცევა პოეტიკის ზოგად საკითხებს. შესწავლილი იქნება რომანის კომპოზიციური თავისებურებები; ტექსტის სტრუქტურის, დიეგესისის, პერსონაჟების, პარატექსტის მნიშვნელობა; ანალიზისის დროს გამოყენებული იქნება კვლევის თანამედროვე მეთოდები
კრედიტების რაოდენობა და საათების გადანაწილება სტუდენტების დატვირთვის შესაბამისად (EGTS)	5 კრედიტი (4 სთ კვირაში) საკონტაქტო - 60 სთ • სალექციო – 30 სთ • ჯგუფური მუშაობა – 30 სთ (მათ შორის შუალედური გამოცდის ჩატარების 2 საათი) • დამოუკიდებელი მუშაობისთვის - 65 სთ • ლექცია-სემინარების მომზადება - 47 სთ

	• შუალედური გამოცდისთვის მომზადება - 5 სთ • საბოლოო გამოცდისთვის მომზადება -10 სთ • საბოლოო გამოცდის ჩაბარება - 3 სთ
დაშვების წინაპირობები	წინაპირობის გარეშე
სწავლის შედეგები	სასწავლო კურსის გავლის შედეგს წარმოადგენს რომანის პოეტიკის მრავალფეროვნების განსაზღვრა. მაგისტრანტს, სემესტრის დასაწყისში შერჩეული საკვლევი მასალის ანალიზის შესაძლებლობა ექნება თანამედროვე მეთოდოლოგიების საშუალებით **ცოდნა და გაცნობიერება** 1. ლიტერატურის თეორიაში ღრმა და საფუძვლიანი ცოდნი ჩამოყალიბებისთვის, თანამედროვე დასავლური (ფრანგულენოვანი) რომანის თავისებურებების შესწავლა XX-XXI საუკუნეების ფრანგი მწერლების ნაწარმოებების მაგალითზე 2. XX-XXI საუკუნეების ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში ნარატიული ჟანრის თავისებურებების გაცნობიერება ძველი თუ უახლესი თეორიების და მეთოდების გამოყენებით 3. მწერლების ბიოგრაფიებზე (გრაკი, კოკტო . . .) შექმნილი ფრანგული დოკუმენტური ფილმების აღქმა და გაგება, რაც რომანის პოეტიკის შესახებ არსებული ტრადიციული თუ თანამედროვე მოსაზრებების გაცნობის საშუალების იძლევა და სტუდენტს სამეცნიერო კვლევისკენ უბიძგებს **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება** 1. ჟიდის, პრუსტის, სელინის, გრაკის, იურსენარის, კოკტოს . . რომანების ანალიზი 2. მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის ანალიზი ლიტერატურული კრიტიკის თანამედროვე მეთოდებით (ფსიქოანალიზი, ნარატოლოგია, ფენომენოლოგიური ჰერმენევტიკა, მითოკრიტიკა . . .) 3. XX-XXI საუკუნის ფრანგი მწერლების მხატვრული და სტილისტიკური ხერხების მრავალფეროვნების შესწავლა **დასკვნის უნარი** • სამეცნიერო მასალის, მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის, მწერლების ბიოგრაფიებზე შექმნილი ფრანგული დოკუმენტური ფილმების გაცნობიერების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის და სინთეზის უნარი, რომელიც წერილობითი ან ზეპირი სახით იქნება წარმოდგენილი • ლიტერატურისმცოდნეობის უახლესი თეორიების და

	მეთოდოლოგიების გამოყენებით, სამეცნიერო ღირებულების მქონე ორიგინალური ნაშრომის შესრულება, რომელიც, როგორც ერთსემესტრიანი კვლევის შედეგი, სამეცნიერო კონფერენციის, სამაგისრო ნაშრომის, პუბლიკაციის მასალად ან, მომავალში, სადისერტაციო ნაშრომისთვის გამოიყენება **კომუნიკაციის უნარი** • აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე (ფრანგული ენა) საკუთარი მოსაზრების წარდგენა და დასაბუთება • დამატებითი საილუსტრაციო მასალის, **PowerPoint**-ში პრეზენტაციის მომზადება- წარდგენა • დისკუსიაში მონაწილეობის უნარი • პრეზენტაციის დროს, აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი **სწავლის უნარი** • სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა (ბიბლიოგრაფიაზე, სამეცნიერო ტექსტზე მუშაობა და მისი კრიტიკული ანალიზი; ბიბლიოთეკაში თუ ინტერნეტსივრცეში სწავლის პროცესისთვის აუცილებელი მასალის დამოუკიდებლად მოძიება, რაც გამოიყენება ჯგუფური მუშაობის თუ გამოცდის დროს) **ღირებულებები** • ევროპული, კერძოდ, ფრანგული მხატვრულ-ლიტერტურული ტექტების საშუალებით ქართული ლიტერატურული პროცესების ადგილის გაცნობიერება • ლიტერატურის გააზრება, როგორც ინტერკულტურული და ინტერდისციპლინარული ურთიერთობების დამყარების საშუალება • სამეცნიერო და პროფესიული ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვისი დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა • აკადემიური პატიოსნების სტანდატრების გათვალისწინება
სასწავლო კურსის შინაარსი	თემატიკა – იხილეთ დანართი
სწავლების/ სწავლის მეთოდები	სასწავლო პროცესის ფორმატია: 30 ლექცია, 30 სამუშაო ჯგუფის მუშაობა (სემინარი), 1რეფერატი, 1 პრეზენტაცია, 1 შუალედური გამოცდა (კოლოკვიუმი), წერითი გამოცდა. სწავლის და სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ვერბალური მეთოდი (ახსნა-განმარტება, დისკუსია, თანამშრომლობითი სწავლება, გონებრივი იერიში), ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის დროს, ინდუქციასა და დედუქციაზე,

	ანალიზსა და სინთეზზე დაფუძნებული წიგნზე მუშაობა და წერითი მითოდები (თეზისების და რეფერატის შესრულება); დემონსტრირების მეთოდი
შეფასების კრიტერიუმები	**დასწრება:** 10 ქულა შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: • ლექცია – 5 ქულა • სამუშაო ჯგუფის მუშაობა – 5 ქულა **შუალედური გამოცდა (კოლოკვიუმი):** 20 ქულა შუალედური წერითი გამოცდა ორი საკითხისგან შედგება. თითოეული ფასდება 10 ქულით. შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 9-10 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავადაა გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია; სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. 7-8 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავადაა გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებულო აქვს ძირითადი ლიტერატურა. 5-6 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები. 3-4 ქულა: არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა: აღნიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. 1-2 ქ ულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გადმოცემული, ან არის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. 0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. **სემინარი**: 20 ქულა შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: • მასალის ცოდნა - 10 ქულა • სამუშაო ჯგუფის მუშაობაში ჩართულობა და აქტივობა. ინტერკულტურულ და ინტერდისციპლინარულ თემებზე

	დისკუსიაში მონაწილეობა - 10 ქულა **პრეტეზენტაცია:** 10 ქულა შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 1. რეფერატი - 6 ქულა რეფერატის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: • ახალი ფრანგულენოვანი მასალის დამუშავება - 3 ქულა • აზრის ლოგიკურად გადმოცემის უნარი - 3 ქულა 2. პრეზენტაცია Power Point-ში: 4 ქულა რეფერატის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: • შინაარსობრივი მხარე - 2 ქულა • ტექნიკური გაფორმება - 2 ქულა **გამოცდაზე დასწრების წინაპირობა**: უნივერსიტეტის სასწავლო დეპარტამენტის მითითების მიხედვით - 11 ქულა **საბოლოო გამოცდა (წერა):** 40 ქულა წერითი გამოცდა შედგება ოთხი საკითხისგან. თითოეული ფასდება 10 ქულით: 9-10 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. 7-8 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. 5-6 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები. 3-4 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღნიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. 1-2 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გადმოცემული, ან არ არის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

	0 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. **სულ** : 100 ქულა
ძირითადი ლიტერატურა	1. Jouve V., *La poètique du roman,* Éditions SEDES, Paris, 1997 (თსუ, რომანული ფილოლოგიის მიმართულება) 2. Reuter Y., *L'analyse du récit*, Éditions Armand Colin, Paris, 2005 (თსუ, რომანული ფილოლოგიის მიმართულება)
დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	1. *ლიტერატურის თეორია,* ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2008 (თსუ, რომანული ფილოლოგიის მიმართულება) 2. რაბატე დ., *ფრანგული რომანი 1900 წლიდან,* გამომცემლობა ,,ჯისიაი'', თბილისი, 1998 (თსუ, რომანული ფილოლოგიის მიმართულება) 3. Bremond C., *Logique du récit,* Éditions du Seuil, Paris, 1973 (ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკა) 4. Bartes R., *L'œvre complet* (ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკა) 5. Bordas E., *L'analyse littéraire*, Paris, Éditions NATHAN, 2002 (ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკა) 6. Genette G., *Palimseste,* Éditions du Seuil, Paris, 1982 (ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკა) 7. Genette G., *FiguresI, Figures II, Figures III,* Éditions du Seuil, Paris, 1966-72 (ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკა); იგივე წიგნების რუსული თარგმანი იხილეთ საიტზე http://yanko.lib.ru 8. Raimond M., *Le roman,* Éditions Armand Colin, Paris, 2000 (ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკა) 9. Rey P-L. *Le roman.* Paris : HACHETTE, 1997. 10. Ricœur P., Temps et Récit, Éditions du Seuil, Paris, 1984 (ფრანგული ინსტიტუტის მედიათეკა) 11. Жирмунский В., *Задачи поэтики,* М., 1921 (ეროვნული ბიბლიოთეკა) 12. Лотман Ю., *Избранные статьи,* Таллин, 1992 (ეროვნული ბიბლიოთეკა) 13. Эко У., *Lector in fabula,* იხილეთ საიტზე http://yanko.lib.ru 14. Шмидт В. *Нарратология*, იხილეთ საიტზე http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Literat/shmid/index.php
დამატებითი ინფორმაცია /პირობები	1. ყოველი ჯგუფური სამუშაოს, დროს სტუდენტი წარადგენს სემესტრის დასაწყისში მის მიერ არჩეული და ლექტორთან შეთანხმებული ნარატიული მხატვრულ-ლიტერტურული ტექსტის ანალიზის ნაწილს, რომელიც განვლილ სალექციო მასალას შეესაბამება 2. რეფერატი უნდა შესრულდეს ქართულ ან ფრანგულ ენაზე 3. რეფერატი არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს

	4. სემესტრის ბოლოს, რეფერატის წარდგენას უნდა ახლდეს ვიზუალური მასალა (მაგალითად, **Power Point-**ი) 5. სილაბუსში შეტანილ ცვლილებებს ლექტორი წინასწარ გააცნობს და შუთანხმებს სტუდენტებს

დანართი

თარიღი	**№**	**თემები**	**ლიტერატურa**
I	1	მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის ფიქციონალური სამყარო. XX და XXI საუკუნის ფრანგული რომანის სტრუქტურის და კომპოზიციის თავისებურანი	1; 4
	2	პარატექსტის ტიპოლოგია და ფუნქცია	1 გვ. 12-17 2
	3	ინკიპიტის როლი ლიტერატურული ტექსტის აღქმის პროცესში	1- გვ.18-22
	4	ნარატიული ფიქციის ინსტანციები. ავტორი, მთხრობელი, პერსონაჟი. ნარატორის და ნარატერის ფუნქცია მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტში	1- გვ24-27 6-გვ.384 9
	5	ნარატიული რეპრეზენტაციის სახეები	1-გვ.28-32
	6	ფოკალიზაცია *კოლოკვიუმი (შუალედური გამოცდა)* *(განვლილ თეორიულ მასალაზე - 2 საათი)*	1-გვ.33-34

II	7	ნარატიული დროის პრობლემა მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტში. თხრობის მომენტის, სიჩქარის, სიხშირის და მოვლენათა თანმიმდევრობის როლი ლიტერატურულ ტექსტის სტრუქტურაში.	1-გვ.35-40
	8	სივრცე - მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის კომპოზიის ელემენტი. აღწერის სახეები და მათი ფუნქცია მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციაში	1-გვ.40-44
III	9	თხრობა, ამბავი, მოთხრობა. ინტრიგის ცნება. მოვლენა და ხდომილობა. მოქმედების კონსტრუირება - ვლადიმირ პროპი, პოლ ლარივაი, კლოდ ბრემონი *ფილმის ჩვენება - 2 საათი*	1-გვ.44-50
	10	პერსონაჟის ანალიზის სემიოლოგიური მოდელი	1-გვ.51-55 1-გვ.56-65
	11	პერსონაჟის ანალიზის სემიოტიკური მოდელი. პერსონაჟის ანალიზის სემიო-პრაგმატული მოდელი. ირონია მხატვრულ ნაწარმოებში	1-გვ. 66-71
	12	მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის სემანტიკური და პრაგმატული დონეები. ტრანსტექტუალობის ტიპოლოგიზაცია. *რეფერატის განხილვა - 2 საათი*	1-გვ.74-79 1-გვ.80-83
IV	13	ირონია. მხატვრული ტექსტის ნარატიული პერსპექტივები (Les récits emboîtés; la métalepse; la mise en abyme)	1-გვ.84-87 2-გვ. 56-59
	14	ლიტერატურული და ექსტრალიტერატურული ფაქროტები მხატვრული ტექსტში	1-გვ.89-101
	15	რომანი და მკითხველი *პრეზენტაცია (რეფერატის წარდგენა ვიზუალური მასალითურთ)*	1-გვ. 104-118

		(სემესტრის დასაწყისში არჩეული თანამედროვე ავტორის რომანის ნარატოლოგიური ანალიზი - 2 საათი)	